



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კომაროვის სფინქსი



კომაროვის სფინქსი (*Rethera komarovi*, Christoph, 1885), პეპელა სფინქსების (*Sphingidae*) ოჯახიდან. იშვიათი, შემცირებადი სახეობაა.

კომაროვის სფინქსი

მსხვილი პეპელაა. წინა ხავერდისებრი ფრთების სიგრძეა 35-40 მმ. ფერი - მწვანე. შუაში აქვს გარდიგარდმო გადაჭიმული მოთეთრო ან კრემისფერი ზოლი და ასეთივე ფერის ცენტრ. წერტილი. ფრთის გარეთა კიდე მთავრდება მოიისფრო-მორუხო ბრტყელი სარტყლით. უკანა ფრთები წითურია და გარეთა კიდეზე მუქი-მწვანე ზოლი შეინიშნება. სხეული ხორციანია და შებუსვილი, ფერით - მუქი მწვანე; მოხატულია მოთეთრო ან კრემისფერი ზოლებით. პეპლის ფრთები და სხეული ქვედა მხრიდან ვარდისფერია. მშრალი ჰავის მოყვარული სახეობაა.

კ. ს. გავრცელებულია ბალკანეთის ტერიტორიაზე, თურქეთში, ირანში, ერაყში, ავღანეთში. ბინადრობს თურქმენეთში, ტაჯიკეთსა და სამხრ. კავკასიაში (გვხვდება კ. ს-ის ადგილ. ქვესახეობა *Rethera komarovi rjabovi* O. Bang- Haas, 1935), კ. ს. ირანულ-ავღანური წარმოშობის ამ გვარის ერთადერთი წარმომადგენელია კავკასიაში.

ფრაგმენტულად გვხვდება საქართველოს სამხრ.-აღმ. ნაწილში, მთასა და მთისწინეთის მშრალი ხეობების ქვა-ღორღიან ფერდობებზე. სახეობის რიცხოვნობა ამჟამად ძლიერ შემცირებულია.

კ. ს. წელინადში ერთ თაობას იძლევა. ფრენს შუალამის შემდეგ, მთებში – კიდევ უფრო გვიან. მატლი ცხოვრობს რძიანაზე (Euphorbia), იჭურებს ნიადაგში და იქვე იზამთრებს.

საქართველო ამ სახეობის გავრცელების უკიდურესი ჩრდილოეთია, რაც თავისთავად განსაზღვრავს მის სიმცირეს ქვეყანაში, მაგრამ არანაკლებ ძლიერია ანთროპოგენული ფაქტორის უარყოფითი ზეგავლენა (ტიპური ბიოტოპების მოშლა სხვადასხვა მიზნით ტერიტორიის გამოყენებისათვის, საქონლის გადაჭარბებული ძოვება და ა. შ.), რასაც თან სდევს ისედაც მცირერიცხოვანი და ლოკალური პოპულაციების ზოგჯერ სრული განადგურება.

2006-იდან სახეობა შეტანილია საქართვე. „წითელ ნუსხაში“.

ლიტ.: დ ი დ მ ა ნ ი ძ ე ე., საქართველოს პეპლები. ენდემური, რელიქტური და იშვიათი სახეობები (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბ., 2005; Д и д м а н и д з е Э. А., Чешуекрылые аридных ландшафтов Грузии (Lepidoptera, Heterocera), Тб., 1978; D i d m a n i d z e E., Georgian Biodiversity Country Study Report., Тб., 1996; R o m a n o f f M. N., Memoires sur les Lepidopteres, vol. 1-3, St.-Petersbourg, 1884-87.

ე. დიდმანიძე
